კონდიტერია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში / Basic Vocational Qualification in Confectionery

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის მოამზადოს კონდიტერი, რომელიც შეძლებს სასტუმროს და რესტორნის სამზარეულოში მუშაობას კვების ჰიგიენის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სურსათის უვნებლობის წესების დაცვით.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

კონდიტერის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საკონდიტრო საამქროებში, საცხობებში, სუპერმარკეტებში, სხვადასხვა კლასის რესტორნებში, კაფეებში, სასტუმროებში, საკურორტო, გასართობ, ტურისტულ კომპლექსებში შემდეგ პოზიციებზე: მცხობელები, მეშოკოლადეები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები.

კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი ბიზნესის წარმოება - თვითდასაქმება.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია

1. მოამზადოს სხვადასხვა სახის პურ-ფუნთუშეული, მათ შორი ბრიოში
2. მოამზადოს ჰოთ-დოგის, ტოსტის პური
3. მოამზადოს კრუასანი, დენიშები, ნამცხვრები
4. მოამზადოს საკონდიტრო კრემები, სუფლე, ზეფირი და განაში
5. მოამზადოს ვაჟინი, საკონდიტრო სოუსი, მინანქარი, ჟელე, მარმელადი, ჯემი, კონფიტიური, ჭიქურა და მურაბა
6. მოამზადოს შოკოლადი, შაქრის ცომი, მარციპანი და კარამელი
7. მოამზადოს ცივი და ცხელი დესერტები
8. შეადგინოს სადღესასწაულო ტორტის ესკიზი და ნახაზი
9. გამოაცხოს სხვადასხვა სახის ტორტი
10. აღრიცხოს ვადაგასული და გაფუჭებული პროდუქტი.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 80 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 15 სასწავლო თვე;

პროგრამის დუალური სწავლების მიდგომით განხორციელების შემთხვევაში შეადგენს ორ წელს.

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1. შპს. კოკაკოლა ბოთლერს ჯორჯია
2. შპს. ტურინვესტი
3. შპს რადისონ ბლუ ბათუმი
4. შპს. ბულვარის კარიპჭე
5. შპს. პარაგრაფ სერვისის
6. შპს. კასტელო მარე
7. შპს. რესტორანი თავადური
8. შპს. ვესტი
9. შპს. ოქროს თევზი
10. შპს. კოლხური სახლი
11. შპს. მიუნჰენი
12. შპს. მარინა კოლიზეუმი
13. შპს. ირისე
14. შპს. უკრაინოჩკა
15. შპს. სანრემო
16. შპს. გოლდენ პალასი
18. შპს. ფანტაზია